

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე

4. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე ბინა №3-ის; ბინა №14-ის; ბინა №22-ის; ბინა №28-ის; რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8-ის; ბინა №19-ის; ბინა №20-ის; ბინა №21-ის; ბინა №35-ის; ბინა №39-ის და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის ქონების მართვის განყოფილების
უფროსი თემურ ბერიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, ვადით, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის

6. სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის - სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მაია მახარაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

8. ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

9. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

10. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და
მობილიზაციის სამსახურის უფროსი დავით გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

11. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ჯამზულ დიასამიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2019 წლის -- მაისი

დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-
სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის -- ივნისი

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის -- ივნისი

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება)პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე)(მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის -- ივნისის დღის 18:00 საათამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის -- ივნისის დღის 16:00 საათზე (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის -- ივნისი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 02	მუნიციპალიტეტის მერია	53000	შრომის ანაზღაურების ფონდში მიღებული ეკონომია
2	01 02	მუნიციპალიტეტის მერია	16000	(ტენდერებიდან მიღებული ეკონომია)
ჯამი			69000	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	-7250	შრომის ანაზღაურების მუხლი
2	01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	7250	შრომის ანაზღაურების მუხლიდან გადატანა (დეკრეტულის თანხის დამატება(2200)ლ.დაზღვევა ალდაგი 100ლ. და შტატგარეშე 5250 ლ.)
3	01 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	9500	დეკრეტული (3761.42)ლ, ელექტრო ენერგია 5 000ლ.დაზღვევა ალდაგი 606.85ლ.
4	02 01	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	600	შრომის ანაზღაურების მუხლის შევსება
5	03 02 03	შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	20000	საპირფარეშოების რეაბილიტაცია (9000 ლ), გარე განათება 11 000 ლ.
6	-	ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	8400	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N57 30.04.2019 წელი.
7	06 01 03	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	3000	(შრომის ანაზღაურება 1500, ინვენტარი 1500)
8	-	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება	5000	თაგინურის მთა (გომის) და საიჩარის მთაზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
9		ბურთვა-აფეთქება	4000	საფრთხის შემცველი და საუბნო გზებზე მოძრაობის შემაფერხებელი ქვის ლოდების ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები
10	05 02 03	ააიპ ქედის მუზეუმი	3500	შრომის ანაზღაურების ფონდის შევსება
11	01 03	სარეზერვო ფონდი	10000	სარეზერვო ფონდის შევსება
12	03 02 02	შ.პ.ს. ქედის წყალკანალი	5000	საწვავისა და მარაგ-ნაწილების შეძენა

13	03 03 03 04	აწვესის ტერიტორიის კეთილმოწყობა	-800000	პროექტი ითვალისწინებდა არსებული დასასვენებელი პარკის კეთილმოწყობას. ვინაიდან ტერიტორიული ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა ხდება კომპლექსურად კერძო ინვესტიციების ჩართულობით და გათვალისწინებით ცალკე აღებული პროექტების განხორციელება არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხა 800 000 (რვაასი ათასი) ლარი გადანაწილებულ უნდა იქნას მიმდინარე წლისათვის სხვა ღონისძიებებში.
14	03 01 02	მდინარე აჭარისწყალზე, სოფელ ქოსოფლის დუმბაძეების უბნისათვის საავტომობილო ხიდის მშენებლობა	339000	აღნიშნული ღონისძიების საპროექტო ღირებულება შეადგენდა 989000 ლარს, რაც ითვალისწინებდა ხიდისა და გზის მშენებლობას. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ხიდის მშენებლობა. პროექტის სრულად განხორციელებისათვის საჭიროა დამატებით 339000 ლარი.
15	03 03 03 02	დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა	162500	დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 100 000 ლარი. არსებული პროექტის სრული რეაბილიტაციისათვის საჭიროა გაცილებით მეტი. ამიტომ მიზანშეწონილია შესაბამისი ხარჯები გაიზარდოს მიმდინარე წლის კაპიტალური ხარჯებიდან 162500 ლარით და გახდეს 262500 ლარი
16	04 01 02 01	ახოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია	78000	ახოს ბაგა-ბაღის რემონტზე გამოყოფილი იყო ბიუჯეტიდან 50 000 ლარი, რაც ითვალისწინებდა შენობის შიგა ფართის კედლებისა და იატაკის რემონტს, მაგრამ ბევრმა კონტიგენტის ზრდის გამო საჭირო გახდა შენობაში არსებული დამატებითი ფართის გარემონტება და მოწყობა დამატებითი აღსაზრდელთა ჯგუფის საჭიროებისათვის. ასევე ეზოს მოწყობის და სათამაშო ატრაქციონების განთავსების მიზნით დაგეგმილი იყო შესაბამისი ხარჯები გასულ წელს, რისი შესყიდვაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, ამიტომ პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს მიმდინარე წელს. აქედან გამომდინარე ბაგა-ბაღის სრულყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისათვის დამატებით საჭიროა 78000 ლარი.
17	04 01 02 02	პირველი მასის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია	96400	ბაგა-ბაღის რემონტისათვის ადრე არსებული პროექტით სამუშაოთა მოცულობების მიხედვით ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 45 000 ლარი, მაგრამ საჭირო გახდა დამატებითი ფართის ათვისებისათვის და ბაგა-ბაღის საჭიროებისათვის გამოსაყენებლად სამუშაოთა მოცულობების გაზრდა. დამატებითი ფართი, რომლის რემონტიც დაიგეგმა წინა წლებში ეკუთვნოდა საქართველოს ფოსტას და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით გადმოცემულ იქნა ბაგა-ბაღის საჭიროებისათვის, რაც სარემონტოა. აქედან გამომდინარე ბაგა-ბაღის სრულყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისათვის დამატებით საჭიროა 96400 ლარი.
18	-	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აქუციდან სოფელ ქედაში ახალი წყლის სისტემების მშენებლობა	70400	მიმდინარე წელს სოფელ აქუცაში დაგეგმილია გზის რეაბილიტაცია, რის გასწვრივაც არსებობს წყალმომარაგების მოძველებული სისტემა. შემდგომში ასფალტბეტონის საფარის დაზიანების თავიდან ასაცილებლად საჭიროა წყლის მაგისტრალის დროული რეაბილიტაცია.
19	-	ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სირაბიძეებში ახალი სასმელი წყლის გამანაწილებელის მოწყობა	53700	სოფელი განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს, რის გამოც მუნიციპალიტეტმა შეისყიდა პროექტი ახალი წყლის სისტემის გაკეთების მიზნით
ასიგნებების ჯამი			69,000	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

**2019 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 21 ივნისი.“

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 28 ივნისი.“

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

3. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

4. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე



პროექტი



**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--
2019 წლის -- მარტი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი
ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების
პარკირების წესების დადგენის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125⁴ მუხლისა და „საგზაო მოძრაობის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №29 დადგენილება (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 05/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016272).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი
ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების
პარკირების წესები**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს თვითმმართველ თემი - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს.

2. წინამდებარე წესი არეგულირებს ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის მხოლოდ პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, არამედ პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა და ავტომანქანების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მიმდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა ემსახურება ძირითადი საქმიანობის უკეთ განხორციელებას. (მაგ.: სასტუმროების მიერ საკუთარი ტაქსების ქონა, რომლებიც მოემსახურება თუნდაც მხოლოდ ამავე სასტუმროში დაბინავებულ პირს).

3. წინამდებარე წესი არეგულირებს ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე თვითმმართველი თემი – ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის წესებს.

4. წინამდებარე წესი არ არეგულირებს:

ა) ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ავტოსადგურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების სხვა პირისათვის გადაცემის საკითხებს;

დ) ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურებში (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები) ავტომანქანების პარკირების წესებს;

ე) იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ სატრანსპორტო საშუალების პარკირება ხდება სამშენებლო მოედანზე ან/და ასეთი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან/და მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით არ ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

მუხლი 2. ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია:

ა) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანების პარკირების ორგანიზებულობის უზრუნველყოფა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

ე) პარკირების სფეროს განვითარება;

ვ) ავტომანქანის პარკირებისას ან/და მოძრაობისას დაბრკოლებების გამორიცხვა;

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტომანქანა – ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, თუ მისი წამყვანი წინამდებარე წესის შესაბამისად არ წარმოადგენს ქვეითს;

გ) ტაქსი – შესაბამისი საცნობარო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც გამოიყენება გზაზე მგზავრთა არაერთჯერადად გადაყვანისათვის, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს რეგულარულ გადაყვანას.

დ) პარკირება – ავტომანქანის მოძრაობის გამიზნულად შეწყვეტა (დგომა), თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას ან ავტომანქანის დატვირთვა-გადმოტვირთვას;

ე) პარკირების ადგილები – ავტომანქანების დგომისათვის განკუთვნილი ადგილები;

ვ) პარკირების საერთო ადგილები – პარკირების ადგილები, სადაც პარკირების უფლება აქვს ყველა იმ ავტომანქანას, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ან ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს პარკირების საერთო ადგილები, ზოგადად აკრძალული არ არის კონკრეტული სახეობის ავტომანქანის შესვლა, მოძრაობა, დგომა ან გაჩერება;

ზ) პარკირების სპეციალური ადგილები – პარკირების ადგილები, რომლებიც წინამდებარე წესის შესაბამისად განისაზღვრება მომსახურების სფეროს ან/და სხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული ავტომანქანების პარკირებისათვის;

თ) საზოგადოებრივი სივრცე – განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სკვერი, პარკი, ბაღი, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები, რომლებიც ავტომანქანის მოძრაობისას ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის;

ი) გზა – საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირი, რომელიც არსებობისას მოიცავს ავტომანქანების მოძრაობისათვის განკუთვნილ ერთ ან რამდენიმე სავალ ნაწილს (ქუჩას), ტროტუარებს, გვერდულებს და გამყოფ ზოლებს;

კ) ქუჩა – გზის ელემენტი, განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცის ავტომანქანების მოძრაობისათვის განკუთვნილი ნაწილი;

ლ) ტროტუარი – გზის ელემენტი, რომელიც მიერთებულია სავალ ნაწილთან ან გამოყოფილია მისგან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

მ) საგზაო მოძრაობა – გზაზე ადამიანისა და ტვირთის ავტომანქანით ან მის გარეშე გადაადგილებისათვის არსებული ურთიერთობები;

ნ) საგზაო მოძრაობის მონაწილე – პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობის პროცესში, როგორც მძღოლი, მგზავრი ან ქვეითი;

ო) ქვეითი – პირი, რომელიც გზაზე, მაგრამ არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში, ან არ ასრულებს რაიმე საგზაო სამუშაოს. ქვეითად ითვლება ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ეტლით ძრავის გარეშე, ასევე ველოსიპედის, მოპედის, მოტოციკლის, საჭაპანე ოთხთვალის (მარხილის) ურიკის, საბავშვო ან ინვალიდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეტლის წამყვანი;

პ) ავტოსაგზაო შემთხვევა – გზაზე ავტომანქანის მოძრაობისას ან/და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა ავტომანქანა;

ჟ) სამშენებლო მოედანი – მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მისი მომსახურებისათვის.

რ) პარკირების ორგანიზება – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლება;

ს) პარკირების ორგანიზების უფლება – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება;

ტ) მესამე პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტი, რომელსაც წინამდებარე წესის შესაბამისად გადაცემული (მინიჭებული) აქვს პარკირების ორგანიზების უფლება;

მუხლი 4. საერთო მოთხოვნები ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის მიმართ

1. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ავტომანქანების ყველა სახეობის პარკირების ადგილების მიმართ, თუ ამავე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირებისათვის განსაზღვრული ადგილები სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭეხის, ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრით, ხოლო გზაჯვარედინებზე ქუჩების გადაკვეთის დაწყების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 3-4 მეტრით.

3. აკრძალულია პარკირებისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისათვის;

ბ) ავტობუსების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის და მათი სვლაგეზის მიმართულებით მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის (ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის) განკუთვნილი ადგილები;

გ) ქუჩა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელზეც შესვლა ან მოძრაობა აკრძალულია.

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში პარკირების ადგილების განსაზღვრისას, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;

გ) სატრანსპორტო ნაკადი;

დ) ქუჩების გამტარუნარიანობა;

ე) საგზაო მოძრაობის წესები;

ვ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ზ) საქალაქო და მუნიციპალიტეტებს შორის სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემა;

თ) ეკოლოგიური მდგომარეობა;

ი) საზოგადოების სხვა ინტერესები.

5. პარკირების სპეციალურ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რისთვისაც განკუთვნილია პარკირების აღნიშნული ადგილები, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან სხვა პირს, რომელიც მართავს შესაბამისი საცნობი ნიშნის მატარებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, პარკირების უფლება აქვს სპეციალური პარკირების ადგილებზე, თუ უახლოესი 100 მეტრის რადიუსში არ არის განსაზღვრული პარკირების საერთო ადგილები და ავტომანქანის პარკირება გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩასხდომისათვის ან გადმოსხდომისათვის.

7. ადგილები, სადაც პარკირება ფასიანია ან აკრძალულია, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგზაო ნიშნებით ან/და შესაბამისი საგზაო მონიშვნით.

8. ფასიანი პარკირების ადგილები, შესაბამისი საგზაო ნიშნების ან/და საგზაო მონიშვნის გარდა აღჭურვილი უნდა იყოს პარკირების პირობების ამსახველი საინფორმაციო დაფით და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოწყობილობებითა და საშუალებებით.

9. პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირების შემთხვევაში, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის.

11. ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტომანქანის პარკირებისას, სადაც განთავსებული არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ავტომანქანის ქუჩის იმ ადგილებზე პარკირებისას, სადაც დგომა ან გაჩერება აკრძალულია, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ქუჩებში განსაზღვრული პარკირების ადგილები მონიშვნის ხაზით გამიჯნული უნდა იყოს ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან.

14. აკრძალულია პარკირების ადგილზე ავტომანქანის პარკირება მონიშვნის ხაზის დარღვევით – მონიშვნის ხაზს გარეთ.

15. სავალდებულოა პარკირების საერთო ადგილებზე რამდენიმე ადგილი გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საცნობარო ნიშნით.

16. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომელსაც აქვს შესაბამისი საცნობარო ნიშანი.

17. იმ ავტომანქანების, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ავტომანქანების პარკირებისათვის, პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა და თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის მიზნებისათვის, ავტომანქანის მფლობელი ვალდებულია ავტომანქანაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტომანქანაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

19. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქციარეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს მესამე პირისათვის გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

20. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვროს პარკირების ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

მუხლი 5. პარკირების სახეობები

1. წინამდებარე წესის მიზნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ადგილები იყოფა ორ ძირითად სახეობად – პარკირების საერთო ადგილები და პარკირების სპეციალური ადგილები.

2. პარკირების სპეციალური ადგილები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვესახეობებად:

ა) ტაქსების პარკირების ადგილები;

ბ) იმ ავტომანქანების პარკირების ადგილები, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში.

3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომანქანების პარკირების მომწესრიგებელი ნორმები ვრცელდება ასევე ყველა იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზეც, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის, მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ ასეთი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

4. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს პარკირების სპეციალური ადგილების სხვა ქვესახეობები. პარკირების სპეციალური ადგილების ქვესახეობის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს პარკირების აღნიშნული ადგილებით სარგებლობის წესებიც.

მუხლი 6. პარკირების ორგანიზება

1. პარკირების ორგანიზებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია ან მესამე პირი წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დადგენას (მართობული დგომა, 90-გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას;

გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომანქანის პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

დ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას, თუ პარკირების საფასურის ამოღებას ახდენს ქედის მუნიციპალიტეტის მერია;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის ამოღებას, თუ აღნიშნულ ადგილებში პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ აქვს მესამე პირს;

ზ) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების, ასევე მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების მომზადებას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად წარდგენას;

თ) კონტროლის განხორციელებას ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების განხორციელებაზე, ამ მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის ხელშეკრულებიდან (ოქმიდან) გამომდინარე გაფრთხილებებისა და სხვა შეტყობინებების გაგზავნას, ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის დამატებითი ვადების დაწესებას, ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას პირგასამტეხლოს დაკისრების ან/და დადგენილი წესით მისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხის განხილვას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენას, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას;

ი) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება, პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების საერთო ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

კ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების სპეციალური ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, პარკირების სპეციალური ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების სპეციალური ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

ლ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

მ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით აუქციონის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას, სააუქციონო პირობების შემუშავებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

ნ) პარკირების ორგანიზების უფლების წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც გაიცემა წერილის სახით;

ო) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას, თუ არ ხდება პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

3. პარკირების ადგილების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

4. პარკირების ადგილების სასყიდლით გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ადგილების მოწყობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით.

მუხლი 7. პარკირების საფასური, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასური და მათი განსაზღვრის წესი

1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილებით ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილით სარგებლობისათვის შეიძლება დაწესდეს საფასური, თუ პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ არის მესამე პირზე წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის შემოღების ან/და გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს და პარკირების ადგილებით სარგებლობის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია უშუალოდ ან მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირის მომსახურების გამოყენებით.

4. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური შეიძლება იყოს დიფერენცირებული.

4. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური შეიძლება იყოს დიფერენცირებული ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონებად დაყოფის მიხედვით ან/და საფასური შეიძლება შემოღებულ იქნეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის.

5. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

6. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური მინიმალური ოდენობის განსაზღვრის მიზნით დგინდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება პარკირების ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ არეალში მოქმედი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის გათვალისწინებით ან/და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიულ ან/და პარკირების საფასურის ამოღების შედეგად მიღებული თანხის (მიღებული მთლიანი თანხის ან მოგების) პროცენტული ოდენობის განსაზღვრით.

9. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური ოდენობა არ შეიძლება იყოს პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიულ საფასურზე ნაკლები.

10. თუ პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან/და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიულ ოდენობაზე ნაკლები.

11. ამ მუხლის შესაბამისად პარკირების საფასური შეიძლება დაწესდეს პარკირების ადგილზე ავტომატური ერთეული დგომისათვის ან/და დაწესდეს პარკირების წლიური საფასური, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ არეალში მოქმედი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

12. პარკირების საფასური გადახდილი უნდა იქნეს პარკირების დაწყებისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ პარკირება მოხდა საფასურის გადახდის გარეშე, რასაც უკავშირდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგები.

მუხლი 8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა

1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას.

2. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს პირდაპირი განკარგვის ან აუქციონის წესით; ხოლო პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით შეიძლება გაიცეს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.

3. პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ გადაეცემათ:

ა) სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ქედის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

გ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

დ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

4. პარკირების ორგანიზების უფლება სასყიდლით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემათ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ქედის მუნიციპალიტეტი;

ბ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

გ) ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს (ინდივიდუალური მეწარმე და კერძო სამართლის იურიდიული პირი) მათ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული იმ შენობა-ნაგებობების უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომლებშიც აღნიშნული პირები ახორციელებენ თავიანთ ძირითად საქმიანობას;

5. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია, **რაც გაიცემა წერილობით, თანხმობის სახით.**

6. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირები ქედის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესებს (მართებული დგომა, 45-გრადუსიანი დგომა, 90-გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტომანქანების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა.

7. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობა განახორციელონ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში.

8. დაუშვებელია უსასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება.

9. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება.

10. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დააწესონ საფასური, ან/და პარკირების ადგილები გამოიყენონ მხოლოდ სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის ან დააწესონ მისით სარგებლობის სხვა შეზღუდვები და აკრძალვები.

11. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნეს პარკირების სპეციალურ ადგილებად.

მუხლი 9. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა

1. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

2. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა შეიძლება მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების ადგილებს, რომლებიც სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად არ არიან დაკავშირებული, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხოლოდ პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის მიზნით, პარკირების ორგანიზების უფლება აუქციონის წესით შეიძლება გაიცეს იმდაგვარად, რომ პარკირების ორგანიზების უფლება არ მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების კონკრეტულ ადგილებს, არამედ პირს უფლება ექნება პარკირების ორგანიზების უფლება განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

4. აკრძალულია პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ერთ ლოტში გაერთიანდეს პარკირების სხვადასხვა სახეობას ან/და პარკირების ერთი სახეობის სხვადასხვა ქვესახეობას მიკუთვნებული პარკირების ადგილები.

5. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების საერთო ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დადგენილი უნდა იყოს ავტომანქანის დგომის წესები (მართობული დგომა, 45-გრადუსიანი დგომა, 90-გრადუსიანი დგომა), გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისა.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას, პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა და აღნიშნულ ადგილებზე ავტომანქანის დგომის წესები (მართობული დგომა, 45-გრადუსიანი დგომა, 90-გრადუსიანი დგომა) დგინდება პირის, რომელსაც გადაეცა პარკირების ორგანიზების უფლება, ქედის მუნიციპალიტეტის მერიისადმი წარდგენილი წინადადებების საფუძველზე. აღნიშნულის შესაბამისად პარკირების ადგილების განსაზღვრა ხდება ერთდროულად ან ეტაპობრივად, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, წინამდებარე წესის შესაბამისად დადგენილი უნდა იყოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტომანქანა აღნიშნულ ადგილზე პარკირებისათვის.

8. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე, თუ პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროებს კეთილმოწყობას, საცნობარო ნიშნებით აღჭურვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, ისინი უნდა მიეთითოს სააუქციონო პირობებად.

9. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს სხვა სააუქციონო პირობებიც, მათ შორის პარკირების საფასურის გადახდის წესების დადგენა, პარკირების ადგილზე ავტომანქანის ერთეული დგომისათვის პარკირების საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა ან/და პარკირების წლიური საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა.

10. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში განკარგვის მიმართ დადგენილი წესები.

მუხლი 10. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის და აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გარიგებათა გაფორმება და მათი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტა

1. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით და აუქციონის წესით გადაცემისას მხარეებს შორის ფორმდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება.

2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიცირება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ელექტრონული ფორმით წარმოდგენილია პეტიცია - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (საკ. კოდი №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ (შემოსული დოკუმენტი №39/04, 03.04.2019 წელი), რომელიც განხილული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 10 აპრილის ბიუროს №01-07/06 სხდომაზე და საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით შესასწავლად გადაეცა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას.

კომისია აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (საკ. კოდი №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია შესწავლილ იქნა და მიზანშეწონილად ჩაითვა დაკმაყოფილდეს.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საზოგადო მოღვაწის გურამ ჯიჯავაძის გარდაცვალებიდან გასული არ არის 20 წელი, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიისაგან შესაბამისი რეკომენდაციით, მათ მიერ დასკვნის წარმოდგენამდე, მიზანშეწონილია საკრებულომ იმსჯელოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის
დასკვნა**

დაბა ქედა

10 მაისი 2019 წელი

კომისია განმარტავს, რომ მიმდინარე წლის 10 მაისს ჩატარდა კომისიის №5 სხდომა, რომელმაც იმსჯელა ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (საკ. კოდი №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის შესწავლის შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (საკ. კოდი №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია კომისიის მიერ შესწავლილ იქნა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენა კომისიის დასკვნის სახით.

გურამ გია ჯიჯავაძე დაიბადა 1949 წელს ქედის რაიონის სოფელ კანტაურში. წონიარისის საშუალო სკოლის დამთავრებისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ, 1973 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს და მუშაობა დაიწყო ჯერ - ვაიოს და შემდეგ წონიარისის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

1981 წელს დაინიშნა ქედის რაიონის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ, 1988 წლიდან იყო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე.

1999 წელს დაინიშნა ქედის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ; არჩეული იყო სადაბო და რაიონული საკრებულოების დეპუტატად და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ.

გურამ ჯიჯავაძე ჭაბუკობიდან გამოირჩეოდა სპორტის უდიდესი სიყვარულით, არაერთხელ იყო აჭარის ჩემპიონი და რესპუბლიკური ტურნირების პრიზიორი სამბოში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, წლების მანძილზე იყო რაიონის ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანი, ხშირად ხელმძღვანელობდა რაიონის სპორტულ დელეგაციებს საოლქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მომავალ თაობას და აღზარდა არაერთი შესანიშნავი სპორტსმენი. ყველგან, სადაც გურამს უმსახურია, გამოირჩეოდა საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით, ერთგულებით, პრინციპულობითა და ინიციატივანობით.


გურამ ჯიჯავაძეს განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქედის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების საქმეში და კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (საკ. კოდი №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ დაკმაყოფილებული იქნას.

კომისია განმარტავს, რომ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილება არეგულირებს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პირობებსა და პროცედურებს.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გოჩა გორგილაძე

კომისიის თავმჯდომარე



სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

**2019 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე ბინა №3-ის; ბინა №14-ის; ბინა №22-ის; ბინა №28-ის; რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8-ის; ბინა №19-ის; ბინა №20-ის; ბინა №21-ის; ბინა №35-ის; ბინა №39-ის და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე ბინა №3 (ს/კ 21.03.35.365.01.003); ბინა №14 (ს/კ 21.03.35.36501.014); ბინა №22 (ს/კ 21.03.35.365.01.022); ბინა №28 (ს/კ 21.03.35.365.01.028); რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8 (ს/კ 21.03.32.071.01.008); ბინა №19 (ს/კ 21.03.32.071.01.019); ბინა №20 (ს/კ 21.03.32.071.01.020); ბინა №21 (ს/კ 21.03.32.071.01.021); ბინა №35 (ს/კ 21.03.32.071.01.035); ბინა №39 (ს/კ 21.03.32.071.01.039) და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11 (ს/კ 21.03.34.290.01.011).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2019 წლის 20 მაისის №1276/02 წერილით ითხოვს აღნიშნული საცხოვრებელი ბინების, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე ბინა №3-ის (ს/კ 21.03.35.365.01.003); ბინა №14-ის (ს/კ 21.03.35.36501.014); ბინა №22-ის (ს/კ 21.03.35.365.01.022); ბინა №28-ის (ს/კ 21.03.35.365.01.028); რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8-ის (ს/კ 21.03.32.071.01.008); ბინა №19-ის (ს/კ 21.03.32.071.01.019); ბინა №20-ის (ს/კ 21.03.32.071.01.020); ბინა №21-ის (ს/კ 21.03.32.071.01.021); ბინა №35-ის (ს/კ 21.03.32.071.01.035); ბინა №39-ის (ს/კ 21.03.32.071.01.039) და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11-ის (ს/კ 21.03.34.290.01.011) უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის არსებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე ბინა №3 (ს/კ 21.03.35.365.01.003); ბინა №14 (ს/კ 21.03.35.36501.014); ბინა №22 (ს/კ 21.03.35.365.01.022); ბინა №28 (ს/კ 21.03.35.365.01.028); რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8 (ს/კ 21.03.32.071.01.008); ბინა №19 (ს/კ 21.03.32.071.01.019); ბინა №20 (ს/კ 21.03.32.071.01.020); ბინა №21 (ს/კ 21.03.32.071.01.021); ბინა №35 (ს/კ 21.03.32.071.01.035); ბინა №39 (ს/კ 21.03.32.071.01.039) და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11 (ს/კ 21.03.34.290.01.011), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემი ქონების ნუსხა

№	დასახელება	მისამართი	ფართი კვ.მ	მიწის ფართი კვ.მ	საკადასტრო კოდი	საკუთრება
1	საცხოვრებელი ბინა №3	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	57,50	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.003	მუნიციპალური
2	საცხოვრებელი ბინა №14	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	93,70	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.014	მუნიციპალური
3	საცხოვრებელი ბინა №22	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	66,30	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.022	მუნიციპალური
4	საცხოვრებელი ბინა №28	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	65,10	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.028	მუნიციპალური
5	საცხოვრებელი ბინა №8	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	58,60	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.008	მუნიციპალური
6	საცხოვრებელი ბინა №19	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	71,30	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.019	მუნიციპალური
7	საცხოვრებელი ბინა №20	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	68,20	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.020	მუნიციპალური
8	საცხოვრებელი ბინა №21	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	85,30	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.021	მუნიციპალური
9	საცხოვრებელი ბინა №35	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	83	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.035	მუნიციპალური
10	საცხოვრებელი ბინა №39	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	58	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.039	მუნიციპალური
11	საცხოვრებელი ბინა №11	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, წერეთლის ქუჩა №12	50,20	თანასაკუთრება	21.03.34.290.01.011	მუნიციპალური



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
KEDA MUNICIPALITY CITY HALL



N 03/3155
27/05/2019

3155-03-2-201905271634



*ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ შუქრი თურმანიძეს*

ბატონო შუქრი

მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ა რ მთავრობის თავმჯდომარის წერილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2019 წლის 11 აპრილის N15 სარეკომენდაციო ოქმის თანახმად, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24-ში და N15-ში მდებარე 6 (ექვსი) ერთეული ბინა, ასევე, წერეთლის ქუჩა N12-ში მდებარე ბინა N11 აჭარის ა რ საკუთრებად რეგისტრაციისათვის, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ბინების შემდგომი განკარგვის მიზნით, მათი ფაქტობრივ მფლობელებზე დარეგისტრირებისათვის, საჭიროა დასახელებული ქონებები საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რისთვისაც საჭიროა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

გიგზავნით მთავრობის აპარატისაგან გადმოგზავნილ მასალებს. დანართი 47 ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა





№ 1276/02

"20" 05 2019

ქედის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან გორგილაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2019 წლის 11 აპრილის N15 სარეკომენდაციო ოქმის თანახმად, დაისვა საკითხი ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24-ში მდებარე ბინა N3-ის; ბინა N14-ის; ბინა N22-ის; ბინა N28-ის; რუსთაველის ქუჩაზე N15-ში მდებარე ბინა N8-ის; ბინა N19-ის; ბინა N20-ის; ბინა N21-ის; ბინა N35-ის; ბინა N39-ის და წერეთლის ქუჩა N12-ში მდებარე ბინა N11-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული დონისძიებების განხორციელების თაობაზე. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ზემოაღნიშნული 11 ერთეული საცხოვრებელი ბინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24-ში მდებარე ბინა N3 (ს/კ 21.03.35.365.01.003); ბინა N14 (ს/კ 21.03.35.365.01.014); ბინა N22 (ს/კ 21.03.35.365.01.022); ბინა N28 (ს/კ 21.03.35.365.01.028); რუსთაველის ქუჩაზე N15-ში მდებარე ბინა N8 (ს/კ 21.03.32.071.01.008); ბინა N19 (ს/კ 21.03.32.071.01.019); ბინა N20 (ს/კ 21.03.32.071.01.020); ბინა N21 (ს/კ 21.03.32.071.01.021); ბინა N35 (ს/კ 21.03.32.071.01.035); ბინა N39 (ს/კ 21.03.32.071.01.039) და წერეთლის ქუჩა N12-ში მდებარე ბინა N11 (ს/კ 21.03.34.290.01.011).

დანართი: „46“ ფურცელზე.

პატივისცემით,
თორნიკე რიჟვაძე



ქ. ბათუმი 11 აპრილი

2019 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ რამაზ ბოლქვაძეს

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შესწავლის და შემდგომში შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიების გატარების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბერის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“. მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფოს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და დაურეგისტრირებელ საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები ოჯახების დეტალური ინფორმაცია დანართი N1-ში მითითებული ჩამონათვალის შესაბამისად: 81 (ოთხმოცდაერთი) ოჯახის დათვალიერების აქტი, წერილობითი ახსნა-განმარტება, ფაქტობრივი ფლობის თაობაზე არანაკლებ 2 (ორი) მოწმის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, აბონენტად აყვანის დოკუმენტი ან/და გადახდის ქვითარი, განცხადებაში მითითებული პირების ნოტარიულად დამოწმებული უფლების დათმობის თაობაზე თანხმობები ან გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სხვა დოკუმენტები, რომელიც დაინტერესებული პირის აზრით ადასტურებს მის ფაქტობრივ მფლობელობას/მართლობიერ ფლობას (ოქმი N22).

კომისია შესაბამისი წინადადების მოსამზადებლად და უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის წარსადგენად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინაშე რეკომენდაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 55 (ორმოცდათხუთმეტი) ოჯახს დანართი N2 თანახმად.

ეთხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დანართი N3-ით წარმოდგენილ საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებით, გაატაროს შესაბამისი

სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის
საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო
კომისიის სხდომის
რეკომენდაცია N15

ღონისძიებები მოქალაქეების მიერ ხარვეზით წარმოდგენილი დუკუმენტაციის სრულყოფის მიზნით.

ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქედის მუნიციპალიტეტის, მახუნცეთის საკრებულოში (ს/კ 21.01.37.056), ქ. ქობულეთში, დაბა ოჩხამურში, ისპანის დასახლებაში (ს/კ 20.37.01.028), ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში (ს/კ 05.32.01.483) და ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში (ს/კ 05.32.04.795) არსებულ საკადასტრო კოდებზე ცვლილებების განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24, ბინა N3-ის (ს/კ 21.03.35.365.01.003), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24, ბინა N14-ის (ს/კ 21.03.35.365.01.014), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24, ბინა N22-ის (ს/კ 21.03.35.365.01.022), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N24, ბინა N28-ის (ს/კ 21.03.35.365.01.028), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N8-ის (ს/კ 21.03.32.071.01.008), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N19-ის (ს/კ 21.03.32.071.01.019), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N20-ის (ს/კ 21.03.32.071.01.020), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N21-ის (ს/კ 21.03.32.071.01.021), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N35-ის (ს/კ 21.03.32.071.01.035), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა N15, ბინა N39-ის (ს/კ 21.03.32.071.01.039), ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N12, ბინა N11-ის (ს/კ 21.03.34.290.01.011), ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N1-ის (ს/კ 23.11.31.808.01.001), ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N2-ის (ს/კ 23.11.31.808.01.002) ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N3-ის (ს/კ 23.11.31.808.01.003), ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N4-ის (ს/კ 23.11.31.808.01.004), ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N5-ის (ს/კ 23.11.31.808.01.005), ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, სტალინის ქუჩა N4, ბინა N6-ის (ს/კ 23.11.31.808.01.006), ქ. ქობულეთში, დაბა ოჩხამურში მდებარე 266,4 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 824 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.37.02.094), ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქუჩა N152, ბინა N2-ის (ს/კ 05.30.10.150.01.002), ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში მდებარე 381 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 2425 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.01.483), ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელი ხალაში მდებარე 180 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე მიმაგრებული 725 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.50.01.005) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის
საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო
კომისიის სხდომის
რეკომენდაცია N15

ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ მახუნცეთში მდებარე საცხოვრებელი ფართის, შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელი ტაკიძეები „ხიჭაურში“ ბინა N41-ის, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა N4, ბინა N32-ის, ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩა N2, ბინა N47(78)-ის, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსელიძის ქუჩა N38, ბინა N61-ის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელი ხუცუბანში მდებარე საცხოვრებელი ფართის, ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქუჩა N175, ბინა N1-ის, ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩა N28, ბინა N45-ის, ქ. ქობულეთში, კომახიძის ქუჩა N13ა, ბინა N58-ის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ციხისძირში მდებარე საცხოვრებელი ფართის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ კირნათში მდებარე საცხოვრებელი ფართის და ქ. ქობულეთში, კომახიძის ქუჩა N100, ბინა N52-ის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიციას, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარფში მდებარე 536 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 1210 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.22.10.032) განკარგვასთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა.

ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, ქალაქ ქობულეთში მდებარე 26 856 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.42.10.424) ნაწილის განკარგვასთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა.

ეთხოვოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და სს „საქართველოს რკინიგზას“ ქ. ბათუმში, ქიქავას ქუჩა N1-ში მდებარე დაურეგისტრირებელ უძრავ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა.

გაუქმდეს „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2018 წლის 22 ივნისის N21 ოქმი და N14 რეკომენდაცია ფაქტობრივ მფლობელ შაქირ ბეჟანიძის ოჯახზე უსასყიდლოთ გადაცემის ნაწილში.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

თინათინ ზოიძე

კობა თედორაძე


სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის
საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო
კომისიის სხდომის
რეკომენდაცია N15

კომისიის მდივანი:


კომისიის წევრები:

 ლელა ზიოძე-იოსელიანი


 რამაზ ჯინჭარაძე


 იამშე ზაქარაძე


 გიორგი მიქელაძე


 ავთანდილ გორაძე

 შალიკო ჩიკვაძე

 შორენა ჯორბენაძე

 მერი ასაშაძე

 ანა ბაჟაშვილი

 კაბა შაშივაძე

 დალი ქიქვაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვების ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

1	№
მოძრავი ქონების დასახელება	ავტომანქანა
მარკა	KAMAZ
ტიპი	თვითმცლელი
მოდელი	65111
სატ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი	XTC651110K1396843
რეგისტრაციის ნომერი	XX912XY
სატ. საშ. გამოშვების წელი	2019
რეგისტრაციის თარიღი	01/04/2019
სატ. საშ. მესაკუთრე	ქედის მუნიციპალიტეტი ს/კ 246762061
ძრავის მოცულობა (სმ³)	10850

მაქსიმალური სმიძღავრე კვტ.	191
საწვავის ტიპი	დიზელი
ფერი	თეთრი
საბალანსო ღირებულება	133800
შენიშვნა	

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-5-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების თხოვების ფორმით 5 წლის ვადით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული მოძრავი ქონების, კერძოდ:

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვების უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა

1	№
მომრავი ქონების დასახელება	ავტომანქანა
მარკა	KAMAZ
ტიპი	თვითმცლელი
მოდელი	65111
სატ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი	XTC651110K1396843
რეგისტრაციის ნომერი	XX912XY
სატ. საშ. გამოშვების წელი	2019
რეგისტრაციის თარიღი	01/04/2019
სატ. საშ. მესაკუთრე	ქედის მუნიციპალიტეტი ს/კ 246762061
ძრავის მოცულობა (სმ³)	10850
მაქსიმალური სმიძღავრე კვტ.	191
საწვავის ტიპი	დიზელი
ფერი	თეთრი
საბალანსო ღირებულება	133800
შენიშვნა	

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და

კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე)

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

GE

რეგისტრაციის მოწმობა
REGISTRATION CERTIFICATE
საქართველო / GEORGIA

A XX912XY (რეგისტრაციის ნომერი / Registration number)
B 2019 (საბრ. საშ. გაბრუნების წელი / Manufacture year of the vehicle)
I 01/04/2019 (რეგისტრაციის თარიღი / Date of registration)

C.1.1 ქედის მუნიციპალიტეტი / MUNICIPAL OF KEDA

C.1.2

C.1.3 ქედი კოსტავას 1

Georgia, Keda

C.1.4 246762061 (პნ ან ს/კ / Personal number or ID code)

C.4(a) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე
Owner of the vehicle

H

(გაუქმების თარიღი / Expiration date)

BV3140294

მოწმობა გაიცემულია შსს მომსახურების სააგენტოს მიერ
Certificate is issued by Service Agency of MIA





ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

**2019 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

**სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის - სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის
ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო
სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ**

„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4¹ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლას თანხმობა მისთვის სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე.

2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

ქედის რესურსცენტრი



GEORGIA

Ministry of Education, Culture
and Sport of Autonomous Republic
of Adjara

Resource Center of Keda



MES 3 19 00647269



28/05/2019

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ შუქრი თურმანიძეს**

ბატონო შუქრი,

მიმდინარე წლის 22 მაისს რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორის წერილი (შიდა ნომერი 618089, იხ. დანართი) სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნაძის სახელის მინიჭების შესახებ.

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 21 მარტს სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლაში შევიდა ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეების და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა განცხადება (იხ. დანართი) სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 10 მაისს გაიმართა სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (იხ. დანართი), რომელმაც მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

გთხოვთ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების "საჯარო სკოლისათვის სახელიწ მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" მე-4¹ თანახმად განიხილოთ და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

აჭარის საგანმანათლებლო რესურსცენტრები / დაბა ქედის

საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
შავიშვილი დურმიშხან

A handwritten signature in black ink, appearing to be 'Shavishvili D. M.', written in a cursive style.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა



MES 1 19 00618089



22/05/2019

ქედის რესურსცენტრის უფროსს
ბატონ დურმიშხან შავიშვილს

ბატონო დურმიშხან,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 21 მარტს სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლაში შემოვიდა ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეების, სამეურნეო, განათლებისა და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა განცხადება (N 335105) თხოვნაზე - სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (იხილეთ საფუძველი).

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექციამ აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით ითხოვა სამეურვეო საბჭოს შეკრება. 2019 წლის 10 მაისს, სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ სხდომაზე იმსჯელა სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება საკითხის მიზანშეწონილობის შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 10 მაისის N14 სხდომის ოქმს.

პატივისცემით,

აჭარის საგანმანათლებლო რესურსცენტრები / დაბა
ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / საჯარო
სკოლები / დაბა ქედის საჯარო სკოლა
დირექტორი
თამარ თავდგირიძე

თ. თავდგირიძე

ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის
საჯარო სკოლის დირექტორს,
ქალბატონ თამარ თავდგირიძეს

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი მოგმართავთ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი თ

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქართველ მეცნიერთა, ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა ფართო წრის მოთხოვნა რათა მიღებული იქნას გადაწყვეტილება დაბა ქედის საჯარო სკოლას მიენიჭოს პროფესორ ვახტანგ პაპუნძის სახელი.

დანართი:

1. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის სამეცნიერო-პედაგოგიური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასება - 13 გვერდი;
 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 – „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ – 3 გვერდი;
 3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მხარდაჭერის წერილების ასლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო, საკანონმდებლო და ქ. ბათუმის მერიისადმი - 10 გვ.
 4. საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის, ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის სახელით მისი ეთნარქის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვაჟა ბერიძის 2015 წლის პუბლიკაცია ვახტანგ პაპუნძის დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით.
1. არძენაძე პეტრე - აჭარის საკონსერვო მრეწველობის გაერთიანების დირექტორი 1980-1990 წწ *პ. ზოს*
 2. ბალაძე ვლადიმერ - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ვ. ბერიძე*
 3. ბაკურიძე თენგიზ - ბიზნესმენი *თ. ბერიძე*
 4. ბარამიძე ნოდარ - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ნ. ბერიძე*

5. ბასილაძე გულნარა - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე *გ. ბასილაძე*
6. ბასილაძე ნოდარ - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ნ. ბასილაძე*
7. ბერიძე ალექსანდრე - საქართველოს განათლებისა და კულტურის დამსახურებული მუშაკი *ა. ბერიძე*
8. ბერიძე აკაკი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ა. ბერიძე*
9. ბერიძე ვაჟა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი *ვ. ბერიძე*
10. ბერიძე ნოდარ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი *ნ. ბერიძე*
11. ბერიძე ნუგზარ - საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამემწე 1978-1990 წწ. *ნ. ბერიძე*
12. ბერიძე ჯემალ - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი *ჯ. ბერიძე*
13. ბოლქვაძე ალექსი - მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი *ა. ბოლქვაძე*
14. ბოლქვაძე რეზო - ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი 1986-2004 წწ. *რ. ბოლქვაძე*
15. გოგოლიშვილი ოთარ - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ო. გოგოლიშვილი*
16. დევაძე ასლან - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი *ა. დევაძე*
17. დიასამიძე ბიჭიკო - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ბ. დიასამიძე*
18. დიასამიძე რევაზ - ბათუმის ხორცკომბინატის დირექტორი 1978-1990 წწ. *რ. დიასამიძე*
19. დუმბაძე აკაკი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, *ა. დუმბაძე*
20. დუმბაძე ნათელა - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი *ნ. დუმბაძე*
21. დუმბაძე სერგო - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ს. დუმბაძე*
22. ზოიძე მერი - სააქციო საზოგადოება „სტომატოლოგის“ დირექტორი *მ. ზოიძე*
23. თავართქილაძე ანზორ - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქ. კპ ხულოს რაიკომის მეორე მდივანი 1981-1985წწ. *ა. თავართქილაძე*
24. თავდგირიძე თენგიზ - საქართველოს თავდაზნაურთა საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჩოხოსანი *თ. თავდგირიძე*
25. თედორაძე დავით - საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე *დ. თედორაძე*
26. თურმანიძე ოთარ - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ო. თურმანიძე*

27. ინაიშვილი სულიკო - საქ. კპ ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი 1975-1984 წწ. *ს.ინაიშვილი*
28. კახიძე ამირან - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ს.კახიძე*
29. კახიძე ნოდარ - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ნ.კახიძე*
30. კვირიკაძე ჯემალ - ბათუმის ღვინის ქარხნის დირექტორი 1978-1998 წწ. *ჯ.კვირიკაძე*
31. კუდბა ანზორ - მწერალი, პუბლიცისტი *ანზორი კუდბა*
32. მალაყმაძე როინ - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *როინი*
33. მამულაძე ვლადიმერ - შუახევის რ-ნის აღმასკომის თავმჯდომარე 1985-1990 წწ. *ვ.მამულაძე*
34. მახარაძე მიხეილ - საქ. კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი 1981-1991 წწ. *მ.მახარაძე*
35. მეგრელიშვილი თემურ - საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის განყ. გამგე 1980-1985წწ; ხელვაჩაურის რაიკომის თავმჯდომარე 1985-1991 წწ. *თ.მეგრელიშვილი*
36. მესხიძე შოთა - საქ. კპ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი 1982-1987 წწ. *შ.მესხიძე*
37. ნაკაშიძე ილია - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი *ი.ნაკაშიძე*
38. ნაკაშიძე ჯემალ - საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე 1977-1980წწ. *ჯ.ნაკაშიძე*
39. სურმანიძე რამაზ - მწერალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი 1977-1985 წწ. *რ.სურმანიძე*
40. ტუნაძე თამაზ - საქ. კპ ხულოს რაიკომის პირველი მდივანი 1978-1985 წწ. *თ.ტუნაძე*
41. ფაღავა მამია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *მ.ფაღავა*
42. ფუტყარაძე ტარიელ - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ტ.ფუტყარაძე*
43. ფუტყარაძე შუმანა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *შ.ფუტყარაძე*
44. ჩაგელიშვილი რევაზ - აკადემიკოსი *რ.ჩაგელიშვილი*
45. ცივაძე ეთერ - საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი *ე.ცივაძე*
46. ცინცაძე თამაზ - არასამთავრობო გაერთიანება საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე *თ.ციცაძე*
47. ჭაღალიძე მურმან - საქ. კპ შუახევის რაიკომის პირველი მდივანი 1979-1986 წწ. *მ.ჭაღალიძე*
48. ჭითანავა ნოდარ - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი *ნ.ჭითანავა*
49. ჯორთმენაძე ილია - მილიციის პოლკოვნიკი. *ი.ჯორთმენაძე*

18.03.2019

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N14

დაბა ქედა

10 მაისი 2019 წ.

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

ციური მალაყმამე, ნათია ტაკიძე, მედეა კვაჭაძე, თამარ ტაკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მაია მახარაძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორი თამარ თავდგირიძე.

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს უზუცესმა წევრმა მარო კვაჭაძემ მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

დღის წესრიგი:

საკითხი N1. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მაია მახარაძის არ ყოფნის გამო სამეურვეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევის საკითხის განხილვა.

საკითხი N2. სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნაძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა.

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

თავი შეიკავა -- 0

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი N1. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მაია მახარაძის არ ყოფნის გამო სამეურვეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: შეფასების ჯგუფის უზუცესი წევრი მარო კვაჭაძე.

მოისმინეს: შეფასების ჯგუფის უზუცესი წევრის ქალბატონი მარო კვაჭაძის მოხსენება დღის წესრიგით წარმოდგენილ N1 საკითხთან დაკავშირებით. მან შეფასების ჯგუფის წევრებს

შეახსენა, რომ საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მათა მახარაძე. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების ჯგუფი წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, საჭიროა აირჩეს შეფასების ჯგუფის სხდომის თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს კონკრეტულად დღევანდელ სხდომას. მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას სთხოვა დაესახელებინათ შეფასების ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურები.

შეფასების ჯგუფის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ დაასახელეს მარო კვაჭაძის კანდიდატურა.

ქალბატონმა მარომ მოუწოდა შეფასების ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ შეფასების ჯგუფის წევრის სხდომის თავმჯდომარედ არჩევის საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:

შეფასების ჯგუფის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას მარო კვაჭაძე.

საკითხი N2: სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა.

საკითხი N1: სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი თამარ თავდგირიძე.

მოისმინეს: სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორის თამარ თავდგირიძის მოხსენება დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. ქალბატონმა თამარმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეების, სამეურნეო, განათლებისა და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა განცხადება თხოვნაზე - სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვახტანგ პაპუნძი იყო ქედის რაიონის მკვიდრი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქედის რაიონის და მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნული მეცნიერების, განათლების, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებულ აღმშენებლობის შემუშავება-განხორციელების საქმეში. ხაზი

გაუსვა ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის გამოჩენილი მეცნიერების და პოლიტიკური მოღვაწეების შეფასებას, - ვ.პაპუნძემ, როგორც აგრობიოლოგიისა და აგროეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა საქართველოში, წვლილი შეიტანა აღნიშნული დარგის მეცნიერების განვითარებაში, რითაც მან დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის სამეცნიერო წრეებში.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პროფესორმა ვახტანგ პაპუნძემ აჭარის სახელმწიფო მოღვაწის რანგში შეძლო მიეღწია მოსახლეობის მატერიალური, სოციალური იდეურ-ზნეობრივი განვითარების ყველაზე დიდ აღმავლობას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის გარდაცვალებიდან 32 წლის გასვლის შემდეგაც, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოება მას ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალურ და პროგრესულ ადამიანად მიიჩნევს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის სხვადასხვა წყაროების საფუძველზე პროფესორ ვახტანგ პაპუნძის სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელმწიფო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასება, ასევე შუამდგომლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის შუამდგომლობის წერილები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობისადმი პროფესორ ვახტანგ პაპუნძის უკვდავსაყოფად სკოლაზე მისი სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა: მოყვანილი მოსაზრების გათვალისწინებით აუცილებლად მიმაჩნია, რომ პროფესორი ვახტანგ პაპუნძე იმსახურებს ჩვენს ინიციატივას, რათა ჩვენი სკოლის სამეურვეო მხარი დაუჭიროს პროექტს, - პროფესორ ვახტანგ პაპუნძის სახელი მიენიჭოს სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლას, რის საფუძველსაც იძლევა აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება #194.

აზრი გამოთქვა მედეა კვაჭაძემ და ციური მალაყმაძემ, მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საინიციატივო პროექტს, - ქვეყნისა და ხალხის წინაშე უდიდესი ღვაწლისა და დამსახურებისათვის პროფესორ ვახტანგ პაპუნძის უკვდავსაყოფად სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის პროფესორ ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სხდომის მონაწილეებმა, ღია კენჭისყრის წესით ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაადასტურეს თანხმობა დადგენილების პროექტზე, - სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის ვახტანგ პაპუნძის სახელის მინიჭების თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს:

მომხრე - 4


მოწინააღმდეგე - 0

თავი შეიკავა 0


სამეურვეო საბჭომ დაადგინა:

1. მხარდაჭერილ იქნას ინიციატივა დაბა ქედის საჯარო სკოლისათვის პროფესორ ვახტანგ პაპუნაძის სახელის მინიჭების თაობაზე.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის #194 ბრძანების, მუხლი 4'-ის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინიციატივის განხილვისათვის მომზადდეს და გადაეგზავნოს სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა და შესაბამისი სხდომის ოქმი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამეურვეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: 

/მარო კვაჭაძე/

სამეურვეო საბჭოს მდივნი: 

/ციური მალაყმაძე/

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2019 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

